ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01193642453**
თარიღი: **30/12/2019**
პინი: **2510**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 25 დეკემბრის N60-01193541886 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (ავთანდილ მახარობლიშვილის AR1724252 განცხადებით წარმოდგენილი, საექსპერტო დასკვნა; გამწვანების პროექტი) რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, შპს „სისტემ ნეტ“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქ. თბილისი, გორგასლის შეს. #5 ს.კ.: 01.18.09.001.008 ფუნქციური ზონა: სსზ-2, რზ-1) IV კლასის მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე, წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მწვანე ნარგავები ირგვება იმავე ტერიტორიაზე, არ ირღვევა ადგილზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, შესაძლებლობის ფარგლებში მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნისა და ექსპერტის რეკომენდაციის შესაბამისად, სამსახური გასცემს 1 ძირი თეთრეკალას (#127-4,1სმ) და 1 ძირი გლედიჩიას (#278-5,5სმ) გადარგვის ნებართვას მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას და წარმოადგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში გადარგვის საბოლოო ნებართვის მისაღებად.

„ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და დადგენილების მე-3 თავის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 და ნაკლები, 12 სმ-ზე მეტი ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. ვინაიდან, წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნით საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 5-ს, მათი (1 ძირი ტყემალი, 1 ძირი ლეღვი, 1 ძირი ქლიავი, 1 ძირი ჭერამი, 1 ძირი ვაზი) მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას არ საჭიროებს.

ხოლო, წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ტერიტორიაზე არსებული 427 ძირი მწვანე ნარგავი და ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად დასარგავი 25 ძირი ჰიმალაის კედარი, 25 ძირი იტალიური ფიჭვი, 15 ძირი წვრილფოთოლა ცაცხვი, 12 ძირი ევროპული მუხა, 5 ძირი ლიქვიდამბარი,11 ძირი იუდას ხე, 5 ძირი გინგკო ბილობა, 7 ძირი ჭადარფოთოლა ნეკერჩხალი, 5 ძირი წითელი ტყემალი, 12 ძირი რობინია, 1 ძირი კავკასიური სოჭი, 5 ძირი იაპონური კვიდოს სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (4,328 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების სახეობა (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დაამტკიცოს გამწვანების პროექტი.

აქვე დავძენთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს

საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ტრანსპორტის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **16-01200161796**
თარიღი: **16/01/2020**
პინი: **0133**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსს
თეიმურაზ ბოლოთაშვილს

ბატონო თეიმურაზ,

2019 წლის 25 დეკემბრის განცხადების (17-01193592336-16) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში, გორგასლის IV შესახვევზე N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (01.18.09.001.008) მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის (AR1724252) შეთანხმების შესახებ პოზიციის დაფიქსირებას, გაცნობებთ:

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კვლევაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დღეისათვის, საპროექტო ტერიტორია, არ არის მომსახურებული საზ. ტრანსპორტით. ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში, მიმდებარე ტერიტორიაზე, იგეგმება მესამეული (შემკრები) საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება, რაც გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ მოსაწესრიგებელია საფეხმავლო ინფრასტრუქტურა. აღსანიშნავია, რომ საფეხმავლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

საპროექტო ტერიტორია არ იქონიებს არსებით უარყოფით ზეგავლენას მიმდებარე საგზაო ინფრასტრუქტურაზე. გარდა ამისა საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესება და საფეხმავლო მისაწვდომობის გაუმჯობესება შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მიმდებარე კვანძებზე მიმართულებები არ არის მნიშვნელოვნად გადატვირთული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, თავის კომპეტენციის ფარგლებში, არ არის აღნიშნული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების წინააღმდეგი.

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 5 20 00115227

16/01/2020

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი) ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2020 წლის 15 იანვრის N60-0120015745 წერილით განმეორებით წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, გორგასლის შესახვევი N5-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.001.008) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2019 წლის 27 დეკემბრის N MIA81903481430 წერილის საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, შეესაბამება სამშენებლო ნორმების და წესების, ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტებით დადგენილ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია მშენებლობის სანებართვო პირობებში ასახული იქნეს ჩვენს მიერ მოთხოვნილი, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები, რომელთა პროექტები სამი თვის ვადაში წარმოდგენილი იქნეს განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge